პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

ევროკავშირის რეგიონული საკომუნიკაციო პროგრამა აღმოსავლეთ სამეზობლოსთვის „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო“ ('EUNEIGHBOURS east')

განხორციელების ვადა: 08.12.2020 - 07.12.2024

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 10 659 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 10 659 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
GOPA PACE led Consortium (former B&S Europe)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
instagram.com/euneighbourseast/,
facebook.com/euneighbourseast/,
flickr.com/people/euneighbours-east/,
https://vimeo.com/euneighbourseast,
youtube.com/@EUNEIGHBOURSeast

პროექტის ვებსაიტები: www.euneighbourseast.eu

პროექტის აღწერა:

რეგიონული საკომუნიკაციო პროგრამა („ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო“ 2020-2024) განახლებული საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილია. ის ევროკომისიის სამეზობლოს და გაფართოების საკითხებზე მოლაპარაკებების გენერალურმა დირექტორატმა (DG NEAR) და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) სტრატეგიული კომუნიკაციების სამუშაო ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავეს. პროგრამის მიზანია ევროკავშირსა და აღმოსავლეთ სამეზობლოში სტრატეგიული საკომუნიკაციო საქმიანობის გაძლიერება, საზოგადოებისთვის ევროკავშირის და მისი პოლიტიკის უკეთ გაცნობა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

ევროკავშირის სამეზობლოს საკომუნიკაციო პროგრამა ხელს შეუწყობს და პარტნიორობას გაუწევს ევროკავშირის წარმომადგენლობების მიერ ეროვნულ დონეზე განხორციელებულ საკომუნიკაციო ღონისძიებებს. მსგავს ღონისძიებებში შედის თემატური საკომუნიკაციო თუ საინფორმაციო კამპანიები და საჯარო დიპლომატიის ინიციატივები, რომლებიც ახალგაზრდა აქტივისტებთან, მედია პარტნიორებთან, ეროვნულ ხელისუფლებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებთან და სხვადასხვა პროფესიულ ქსელთან თანამშრომლობით განხორციელდება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ევროკავშირის, მისი პოლიტიკის და თანამშრომლობის პროგრამების შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოქალაქეების უკეთ ინფორმირება.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირთან დაკავშირებული ინფორმაციის, ახალი ამბების, შესაძლებლობების და წარმატების ისტორიების ეფექტიანი ონლაინ საკომუნიკაციო პლატფორმის და არხების საშუალებით უფრო ფართოდ გავრცელება.
- ახალგაზრდა ევროპელი ელჩების ქსელის და სამოქალაქო ღონისძიებებში მათი აქტიური ჩართულობის საშუალებით ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ახალგაზრდობას შორის დიალოგის გაღრმავება.
- ციფრულ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან და სტრატეგიულ საკომუნიკაციო მიდგომასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო პოტენციალის გაძლიერება.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის საქმიანობის წარმოჩენის მიზნით, შესაბამის საერთაშორისო ინსტიტუტებთან და პროექტებთან ეფექტიანი კონტაქტების და პარტნიორობის ჩამოყალიბება.
- ინფორმაციისა და ევროკავშირის გზავნილების გამავრეცელებელ მედია და არამედია პარტნიორებთან საკომუნიკაციო ქსელის განვითარება.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში რეგულარულად ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების საშუალებით ევროკავშირის შესახებ საზოგადოებრივი აზრის უკეთ შესწავლა.